

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს შრომის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია მოქმედი „შრომის კოდექსის“ ჰარმონიზაცია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია კანონით უზრუნველყოფილი იქნეს საკრებულოს წევრთა უფლება შრომითი საქმიანობის მოუწყვეტლად მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს მუშაობაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტს ემატება დ<sup>1</sup> ქვეპუნქტი პუნქტი, რომლითაც შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლად განისაზღვრება საკრებულოს წევრის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად.“ მოქმედი „შრომის კოდექსი“ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციის ვალდებულებას შეუჩეროს შრომითი ურთიერთობა საკრებულოს წევრს, როცა იგი კანონის შესაბამისად ახორციელებს საკრებულოს წევრის ვალდებულებას (მონაწილეობს საკრებულოს, ან საკრებულოს კომისიის სხდომებში). აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც ორგანული კანონის, ისე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის მოთხოვნას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის მიერ საკუთარი უფლებამოსილების თავისუფალი განხორციელებისა და უფლებამოსილების განხორციელებისას ფინანსური ხარჯების ან დაკარგული შემოსავლის კომპენსაციის შესახებ.

კანონის 36-ე მუხლს ასევე ემატება 5<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმად საკრებულოს წევრის კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში შეჩერების პერიოდის შრომის ანაზღაურება ხდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით ხარჯების დაფინანსების წყაროა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;  
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;  
კანონპროექტი უმნიშვნელოდ ზრდის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებს

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;  
კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს ის წევრები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ საწარმოო ან სამსახურეობრივი საქმიანობისგან მოუწყვეტლად, მიიღებენ შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში შრომითი ანაზღაურების სრულ კომპენსაციას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;  
ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.  
საქართველოს პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნიაშვილი